

რედაქცია

მანუაის ქუჩაზე, სტ. მელოქიშვილის სტამბაში, მატუნიის სახლებში.
ხელის-მოჭარა
რედაქციაში და სტ. მელოქიშვილის სტამბაში.
მალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: В. Тяплиць. В. контору редакции газеты „Дрозда“, при типографіи Меликова.
გაყვითის ფასი
წელიწადში — 8 რაბ., ნახევარი წელიწადში — 4 რაბ. და 50 კაპ., თვეში — 1 რაბ.
სალკე ორგანიზაციის შტაბი.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ურარტულს ენებზე განცხადება
განცხადების ფასი
ღირს ასობით, ასობზე — 1 კაპ., ასობითაგრეთით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციფროთი, სტრიქონზე — 2 კაპ. და პიტით — 4 კაპ. შემთხვევით იბეჭდვით
მთლიანობაში მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოცხადებულ სტატუსებსა და დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება

დროშა

გამოდის ჰვიარობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

საქართველო

ომი თუ იმნა...

II
თველისა, 5 აპრილს 1877

მხლა ჩვენ იმაზე უნდა დავფიქრდეთ, თუ მომავალი დღის დროს როგორ უნდა მოიქცეს ჩვენი ხალხი და ჩვენი საზოგადოება.

— ამას რაღა ფიქრი სჭირიაო — იტყვის მკითხველი, — განა საქართველო ომში გამოუტყდელია, განა ჩვენ ან ჩვენ წინაპრებს ომი არ უნახავსო, განა ჩვენში ყველამ არ იცის, რომ ომის დროს კაცმა ლეკურს ხელი უნდა გაუსვას და მტერს კუდით ქვა ასროლინოსო!...

მართლაც, უწინდელ დროში, როცა ჩვენ ქვეყანას მტერი მოადგებოდა, ჩვენში ყველანი იარაღს ხელს ჰკიდებდნენ და მტერს თავზე ესხმებოდნენ. ძაცი და ქალი, დიდი და პატარა, მოხუცი და ბავშვი, მღვდელი და ერის კაცი — საზოგადო ბრძოლაში ყველა მონაწილეობას იღებდა. მისაც იარაღის ხმარება არ შეეძლო, ის ჯარს საზრდოს უზიდავდა, ან მტერს გზებს უხდენდა, ანა და მისგან დაკავებულ სოფლებს ცეცხლს უკიდებდა. ბაქციეულის მტერს კი ხომ, მთლიან ქვეყანა თავზე ესხმებოდა ასაკლებლათ და გასაგონებლათ.

იმ დროს ომი ისეთი ბრძოლა იყო, რომელიც პირდაპირ მონაწილეობას იღებდა ორივე მოწინააღმდეგე ხალხი: მთელი ერთი ხალხი მთელ მეორე ხალხს შეეტაკებოდა. დედაბერზე უარესათ ითვლებოდა მაშინ, ორივე ხალხის თვალში, ის, ვინც ომს ერიდებოდა, და ომში პირდაპირ მონაწილეობას არ იღებდა.

მხლა კი ომი სულ სხვა ნაირსურათს წარმოგვიდგენს. მხლა ომი დუელია ორ სახელმწიფოს შუა. ორივე ხალხი გზავნის საბრძოლველათ თავ-თავის ჯარს, და ომში მარტო ამ ჯარებსა უნდა მიიღონ მონაწილეობა.

1874-ში ჩვენმა ხელმწიფემ ისურვა ხალხისთვის ომების სიმძიმის შემსუბუქება. ამ განზრახვით ჩვენმა მმართველობამ მოიწვია ბრიუსელში კონფერენციაზე ყველა სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლები, და წარუდგინა მათ გასაზინჯველათ მისგან შედგენილი პროექტი „ომის კანონების და ჩვეულებებისა“. მეროპიელი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა გასინჯეს რუსეთის პროექტი, შეაწორეს, შეავსეს, და შეადგინეს საზოგადო „დეკლარაცია“, რომელიც დღეს ყოველგან თითქმის კანონათ ითვლება. ეს დეკლარაცია, რომელსაც ეწოდება „ბრიუსელის დეკლარაცია“ 27 აგვისტოს 1874 წლისა, თავის დროს გამოცხადებული იქნა რუსეთში, მმართველობის მხრით, „Правительственный Вѣстник“-ში. დღეს ჩვენ საქ-

როდ ვრაცხთ გავხანებოთ ჩვენ საზოგადოებას ამ დეკლარაციის ზოგიერთი მუხლები.

დღე-აზრი ამ დეკლარაციისა იმაში მდგომარეობს, რომ ჯარი, რომელიც შედის მოწინააღმდეგე ქვეყანაში, არ უნდა შეეხებოდეს არც მშვიდობიან ხალხს, არც კერძო პირების ქონებას. ამ ჯარს უფლება აქვს დაიკავოს მხოლოდ ის, რაც თვითონ მმართველობას ეკუთვნის: ხაზინის ფულები, არსენალები, იარაღი, ყაზარმები, და აგრეთვე რკინის გზები, თოფ-იარაღის ქარხნები, რომელნიც სხვა და სხვა საზოგადოებას ეკუთვნიან. სასწავლებლები, გოშპიტლები, ეკლესიები და სხვა ამგვარი კაც-მოყვარე ან სამეცნიერო დაწესებულებანი, თუნდამმართველობის საკუთრებასაც შეადგენდნენ, მაინც ხელუხლებელი უნდა დარჩენ, აგრეთვე როგორც საკუთრება ქალაქებისა, სოფლებისა და კერძო პირებისა. (მუხლი 6, 7 და 8.)

მეომართ იცნობა მარტო ის პირი, რომელიც ეკუთვნის მეომარ ჯარს. მილიცია (ობოლჩენიე) და ვოლონტერების რაზმები მარტო იმ შემთხვევაში იცნებიან მეომართ:

ა) როცა იმათ მოთავეთ ანუ უფროსათ იმისთანა პირი ეყოფიებოთ, რომელსაც პასუხისმგებელი იქნეს თავისი ხელქვეითების მოქმედებისა;

ბ) როცა იმათ მითვისებული ექნებათ ისეთი ფორმის ნიშანი, რომელიც მორიდად აღვილათ გასარჩევი და დასანახი იყოს;

გ) როცა იმათ იარაღი ამკარათ, და არა დამალულათ; ექნებათ დაკიდებული;

და დ) როცა თავიანთ სამხედრო მოქმედებაში ისინი მტკიცეთ დაიცვენ ომის (ესე იგი დეკლარაციის) კანონებსა და ჩვეულებას (მუხლი 9).

მარტო ამ გვარი პირები ითვლებიან მეომართ, და მარტო მათზე გავრცელდება „დეკლარაციის“ დებულება სამხედრო-ტყვეებზე. შიველი პირი, რომელიც ჯარს ან ამ გვარ მილიციას არ ეკუთვნის, და ისე ომში გაერევა, ან გზას წახდენს, ან ტყვევრავს, ან ჯარს ეწინააღმდეგება, ან სხვაფრივ როგორმე გამოიჩინოს ბრძოლის სურვილს, სასტიკათ და განურჩევლათ ადგილზევე დასჯილი იქნება...

„დეკლარაცია“ მარტო ერთ შემთხვევისთვის პატივი უცია, და მარტო ერთის მხრით მიუცია ხალხისთვის ბრძოლაში გარევის უფლება. პირას ამბობს დეკლარაციის მეათე მუხლი: „მცხოვრებნი ჯერ კიდევ დაუკავებელი მხარისა (ადგილისა), რომელნიც მტერის მოახლოების დროს თავის ნებით დაირაღდებიან მტერის საწინააღმდეგეთ, და რომელნიც, თანახმად შეცხრე მუხლისა, მომზადებას ვერ მოასწრებენ, უნდა ჩაითვალოს მეომარ მხარეთ, თუკი ისინი ომის კანონებს და ჩვეულებას მტკიცეთ დაიცვენ.“

დანარჩენი მუხლები ბრიუსელის

დეკლარაციისა შეეხებიან სხვა-და-სხვა წერილმან შემთხვევას. ჩვენთვის კი აუცილებლათ საქირა დავინსოვნოთ ის მუხლები, რომელნიც შემოთვალ-მოეთარგმნეთ.

მხლა, ამ მუხლებიდან, ჩვენ აირა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ.

სადაც უნდა იქნეს ბრძოლა და ომი, მიგ არავინ არ უნდა გაერიოს, გარდა იმ პირებისა, ვისაც თვითონ ჩვენი მთავრობა ითუწოდებს და რაზმში ჩააყენებს, იარაღის და ფორმის მიცემით.

რკინის და უბრალო გზებს, ხიდებს, ტყვევრავს, სამხედრო ბარგს, ჩვენი იყოს, გინდ მტრისა, სრულიად არავინ არ უნდა შეეხოს, გარდა იმ პირებისა, რომელნიც ჯარში ჩარიცხულნი და ჩაიზამულნი არიან.

მაინც ჩვენგანი ჯარში ჩარიცხული იქნება, იმას ნიდავგ უნდა ახსოვდეს, რომ მტრის კერძო საკუთრებას ის ხელს ვერ უნდა ახლებდეს, თორემ სასტიკათ დასჯილი იქნება.

და თუმცა — სტრატეგიული საქირაობის მიხედვით — მთავრობამ ისურვა ზოგიერთი ჩვენი სამხედრო მანობის სოფლების უჯაროთ დატოვება, ჩვენ ხალხს სრული უფლება აქვს დაიარაღდეს და რაზმით ჩაიღოს იმ განზრახვით, რომ წესიერება გაუწიოს, ან ცარცის ნება არავის მისცეს. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც საქირა იქნება, რომ დაიარაღებულმა ხალხმა რამე ფორმის ნიშანი მიიღოს და თავი-კაცები აირჩიოს, წესიერების დასაცველათ, რაზმის გასაწვრთნელათ და „ომის კანონების და ჩვეულებების“ მტკიცეთ შესანახავათ.

მრთი საზოგადო კანონიც ყველამ გულში რომათ უნდა ჩაინერგოს: ომიანობის დროს ცარცვა და გლეჯა, ჯარის ან კერძო-პირების საკუთრების შეხება, სამხედრო ამბების მიტან-მოტანა ითვლებიან ისეთ საშინელ დანაშაულობათ, რომლისთვისაც დამნაშავეებს ოც-და-ოთხი საათის განმავლობაში სიკვდილით სჯიან. ჩვენი ხალხი ყოველ ამ ნაირსატიკელს მარტო სიკვდილით დასჯის შიშისგამო კი არ უნდა ერიდებოდეს: ამ გვარი საქმეები საიანადგოთ თავს სჭირან მთელს ხალხს, და საზიზღარ სახელს უდგებენ მთელს ქვეყანას დანარჩენ დედა-მიწაზე. მოველს ქართველს მტკიცეთ უნდა ახსოვდეს, რომ ომის დროს მთელი მეროპის ყურადღება ჩვენ ქვეყანაზე იქნება მოქცეული. როგორც რუსეთის; ეგრეთვე მეროპის თვალში, ჩვენი ხალხი უნდა გამოჩნდეს მხნე, პატიოსანი და რაინდულ ხალხათ, იმისთანათ, რომელიც პატივისცემის ღირსია სამხედრო მამაცობისთვის, და ხეირიანი გაწყობილების ღირსია მოქალაქობრივი პატიოსანების და წესიერების დაცვისათვის.

მრთი სიტყვით, ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენი ქვეყნის სახელი, სიკეთე და მომავალი ჩვენს საკუთარ საქციელზეა დამოკიდებული. ნუ შევირცხვით დღემდის პატივცემულ სახელს,

ნუ გაურევთ ბრძოლაში ნურც ავანჯაობას, ნურც სიმხდალეს, ნუ გეძიებთ პირად სარგებლობას, ნუ დავივიწყებთ ურთი-ერთის დანაშარების საქირაობას, ნუ დავიშალვითო სორაში: მაშინ, ჩვენი გონიერი, წესიერი და პატიოსანი საქციელი მაღლა ასწევს საქართველოს სახელს, და მტერსა და მოყვარეს დაანახებს, რომ ჩვენი ხალხი სიყვარულის, პატივისცემის, მორიდების და კეთილ-დღეობის ღირსია...

მიმეორებთ, რადგან დღეს, ომი თუ იქნა, მთელი ქვეყნის ყურადღება ჩვენ ქვეყანაზე და ხალხზე მოქცეული იქნება, ჩვენი მამულის ყოველმა ერგულმა შეიღმა ყველაზე უფრო იმაზე უნდა იზრუნოს, რომ მთელმა ქვეყანამ საქართველოზე აი ამ გვარი შთაბეჭდილება შეიღინოს და აი ამ გვარი აზრი იქონიოს...

ნ. ნიკოლაძე.

დღიური

* ჩვენ შევიტყვეთ, რომ სახელოსნო შარავის უსტაბაშების ამორჩევა ამ აღდგომის წინა დღეებში დაუწყვიანთ; მაგრამ კენჭისყრის ისე უთავბოლოთ და აუჩქარებლივ მიუსტაბაშის მეტი ვერ აურჩევიან. მეპურეების უსტაბაშის კენჭისყრის დროს, როგორც გვითხრეს, უწყობება მომხდარა: უფ. მეტრეველს ორი უფრო მომეტებული თეთრი კენჭი ამოსვლია, ვიდრე უფ. ხუციევი; მაგრამ, უფ. მალონგის მეცადინეობით, მეპურეების უსტაბაშად მაინც უფ. ხუციევი დარჩენილა.

* ჩვენი ქალაქის ქუჩების გამსუფთავებლების ყურადღება მიგვიქცევია იმ საშინელ სიბინძურეზე და სიმყრალეზე, რომელიც მუდამ სუფევს სასულიერო სემინარიის ეიწრო ქუჩაზე, რომელიც სალდათის ბაზრიდამ ფოშტისაკენ გაუხვევს. მით უფრო საქირა ამ ქუჩის სუფთად შენახვა, რომ ამ ქუჩაზე გამოდის სემინარიის საავათმყოფოს ფანჯრები და თქვენ წარმოიდგინეთ — როგორი სუფთა ჰაერი უნდა ჰქონდეთ იქ დაწოლილ ავათმყოფებს.

* ზოგიერთ პირისუფლებმა შემოგვიფიქრეს, რომ ჩვენი ქალაქის სხვა და სხვა სასაფლაოებზე მიცვალებულების საფლავიდან ჯვრებსა და ნაირ-ნაირ ქვებს და რკინებს ამრობენ ქურდებიო და მიაქეთო. შევლავზე უფრო ხშირად ამგვარი ქურდობა ფრანგების სასაფლაოზე ხდება თურმე, აგრეთვე მერაზე ქართველების, ჰელაბარში ხოჯივანქის სომხის სასაფლაოზე.

* სამეგრელოდამ გვეწერენ, რომ მას აქეთ, რაც სუგდილის უფდის უფროსად უფ. იოს. მიქებერიძე დანიშნეს, ქურდობამ იკლო ჩვენს უფდშიო. ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში რამდენიმე შემთხვე-

ვა ყოფილა იქ ქურდობისა და ავა-
ხაკობისა, მაგრამ რადგან ახალმა
უფლის უფროსმა თითქმის ყველა
ეს დანაშაულობა აღმოაჩინა და
თვით ქურდებიც დაიჭირა და სასა-
მართლოს ხელში მისცა, ამის გა-
მო სხვები დაფთხდნენ და ისე აღვი-
ლად ვეღარ ჰქედავენ ავახაკობასა.

* * * ზუგდიდიდანვე გვწერენ, რომ
ამჟამად იქ ცხოვრობენ დროებით
პრინცი და პრინცესა მიურატი (სი-
ძე და და თ. ნიკ. მინგრელისა).
ჩვენი უკოროესპონდენტი ამბობს,
რომ ამათ აქ ყოფნამ ჩვენებურ
ხალხს სარგებლობა მოუტანაო, რად-
გან ხშირად დაიარებინა სანადირო-
თაო და მგლები და ტურები თითქ-
მის სულ გააწყალესო. მანსაკუთრე-
ბით პრინცესა სალომეს ძალიან
უყვარს თურმე ნადირობა და ყოველ
ნადირობის დროს, საცა სოფელში
მოხდებდა სადმე დედა-კაცებსა და პა-
ტარა ბიჭებს ფულებს ურიგებდა...

პირველ-დაწყებითი სწავლაზედ
(წერილი მასწავლებლისა)
(დასასრული)

პირველესი მნიშვნელობა რუსუ-
ლი ენისა პრაქტიკულია; რუსული
იმოტელათა არის საჭირო და ისეც
უნდა შეისწავლოს კაცმა, რომ სულ-
ში ლაპარაკი შეეძლოს და მოსამარ-
თლეთ გადაწყვეტილობა შეისმინოს,
არზის დაწერა შეეძლოს და მალაზია-
ში ივაჭროს რამე ისე, რომ მანეთ-
ში ორი მანეთი არ დასტყუონ. მარ-
და ამისა ის საჭიროა გონების გასახს-
ნელათ, წინასწაწევათ, ლიტერატუ-
რის გასაცნობათ, და მსჯელობის სა-
იარაღობათ.

რადგან რუსულ ენის შესწავლას
ჩვენთვის პრაქტიკული ძალა აქვს,
ამისთვის საჭირო არ არის იმის შეს-
წავლის აღრე შე დგომა და ბავშვებ-
ის გონების დახშობა. რომ ჩვენ
ყმაწვილებს საჭირო ენა, მისი ლიტე-
რატურა ისე შეეძლოს შეისწავლონ,
რომ გამოიყენონ ცხოვრებაში, შკო-
ლაში მისვლისათანავე იმაზედ სასწავ-
ლებელი საგნების სწავლაუნდა იწყოს.
რომელი ერთი შეითვისოს, ერთსა და
იმავე ხანში, საგნების გაცნობა, თუ
უცხო ენისა, რომელსაც მაშინ სწა-
ვლობს, როცა საგანზედ ესაუბრები-
ან მას? ჩვენ პედალოლებს იმოტლათ
გაშეშებით გრძობიერება და ჰაზ-
როვნობა, რომ მთელ ჩამომავლო-
ბას სხვებზედ იმ ენის შესწავ-
ლას, იმ მიზნის მისახწევათ, რასაც
უფრო აღვილათ და სახერხოთ მია-
ღებინან; თუ ამ უცხო ენის შესწავ-
ლას წინაურობის ელემენტარული
ბავშვების დედა-ენაზედ გახსნა.

მის არ უჭირს ჩვენში რუსულის
ცოდნა? ჩვენი ხალხი გრომს არ მის-
ცემს იმ ნასწავლ და განათლებულ
ქართველ კაცში, რომელიც ქარო-
ნიკონს ვერ გამოიცნობს, თამასუქს
ვერ გადაიკითხამს და „პროჯიკს“
თითს მოუხრის. ჩვენი ყმაწვილები
დაბალ კლასებში მის დღემდე ვერ
შეისწავლიან რუსულს იმგვართ,
რომ გამოთქმით არა სხვაგვარად
ბუნებით რუსებთან. სალაპარაკო ენა
შეითვისება ვარჯიშობით ლაპარაკ-
შივე რუსებთან; მაშასადამე ჩვენ უფ-
რო უნდა ვეცადოთ ლიტერატურუ-
ლი წიგნური რუსული ენის შესწავ-

ლას და არა სალაპარაკოსი.
პირველათ შკოლაში მოსულ ყმა-
წვილს არ ესმის რუსული, დედა-ენა
კი იცის. მასწავლებელს საგანზედ სა-
უბარი შეუდგენია, რუსულათ ეჯიყ-
ჯიყება იმის შინაარსზედ; რომ ხე-
დავს არ ეყურებათ, მაშინვე სიტყ-
ყებს უთარგმნის, ნაწყვეტ-ნაწყვეტათ
საგანს ახვედრებს, — სულ კი ფუჭათ,
ბავშვებს იმოტლათ ჯერ გამოცდი-
ლება და დაფიქრება არა აქვს, რომ
სამიოდე გამოსვრილ, გაფანტულ,
შეუნასკვავ სიტყვების დახმარებით
საგანი გაიცნას, შეითვისოს და მას-
წავლებელის გული გაახალისოს. რუ-
სული ბავშვს არ ესმის და მთელ
საუბარში ვერა აზრი ვერ გაიცნო,
რომ თავისებურათ ქართულათ მინც
გამოეთქვა, ის გაშტერებული, თვალ-
დაწყვეტილი, გაფანტული რჩება; ის
გაშტერებული დაიარება კლასებში
და თან-და-თან ჩუმობას, გაფანტუ-
ლობას, მოუაზრებლობას ეჩვევა, გო-
ნება უსუსტდება და სწავლის სურ-
ვილი მოუნელებლივ გულ-სარგვათ
ექცევა, კლასებში ტარებას აკლებს
და ან მასწავლებელი გამოაგდებს
ძალით, ან კიდევ თუ არა ნებაყოფ-
ლობით მოუნელებელ ტანჯვიდგან
თავს ანთავისუფლებს ბავშვი, ენით
დაბლუებული და ჰკვით დაჩლოუნ-
გული, გონებით დამსუბუქებული
რჩება.

ჩემის პრაქტიკიდან ამაზედ მო-
მეტებულის მხახველი ვარ და რათ
უკვირს უ. როსტომაშვილს, რომ
ყმაწვილები შკოლაში არ დაიარე-
ბიან და მათრახებით უნდა ვათრიო-
თო?! შმაწვილს აღარც დედა-ენა-
ესმის რიგიანათ, აზრის ნათლათ გა-
მოთქმასაც ვეღარ ახერხებს, მასთან
არც რუსული იცის და ვერც შეის-
წავლა მთელი წელი.

დაუდევნელათ და მოუნაღვლე-
ლათ ჩვენ ბავშვებს ვახეპირებინებთ
„ბაბა-თალებზედ, კოლობოკებზედ,
ტერემოკებზედ, გუსებზედ“ და სხვ.
გამოთქმულ ხალხურ ზოპარებს; იმას
აღარ დავდევთ, თუ გრძობათა და-
ჩაგვრელი „ბაბა-ილა“ გონებასაც
აბნევს და აბნელებს. რუსულ ენის
გასავრცელებლათ, იმის შესწავლის
გასაადვილებლათ აუცილებლათ სა-
ჭიროა და ფრიად სასარგებლოა ჩვენ
შკოლებისთვის ხელმძღვანელო პირე-
ბმა პედალოლიურ პრაქტიკაზედ გა-
მოიმუშავონ მიზნის შესაფერი მე-
თოდები, მის კვალად შეადვიონ
სახელმძღვანელო წიგნები და რიგი-
ანათ ამწესონ ახლათ გამოსული მას-
წავლებლები. რუსული ენის მეთო-
და არ გვაბადია, მის შესწავლა გან-
წყობილია დედა-ენის მსგავს სათაურ-
ზედ; ხელმძღვანელოები უფარგისნი
იხმარებიან.

მეთილგანწყობილ შკოლებში რუ-
სული ენა უნდა უცხო ენის მსგავ-
სათ ისწავლებოდეს. ჩვენ დაბალ სა-
სწავლებლებში რუსული ენა სას-
წავლებლის საგნათ უნდა ითვლე-
ბოდეს და არა საგნების შესასწავლის
ენის ალაგი ეჭიროს. პირველ დაწ-
ყებით გავლა საგნებისა, არიჭმეტი-
კისა, ბუნებითი ცოდნისა, ისტორია-
გეოგრაფიისა (სამშობლოს ცოდნა),
სამღეთო ისტორიისა, უნდა დე-
და-ენაზედ იყოს დამყარებული,
რუსული ენა კი საკუთრათ, როგორც
სხვა სწავლისა საგნები, მიდიოდეს.
სამოქალაქო სასწავლებლებმა უნდა
მიიღონ ეს მხედველობაში, რადგან
მოსამზადებელი კლასები არა აქვთ
და მასწავლებელი იძულებულია და-
მტკიცებულ პროგრამის აღსრუ-
ლებას დაადგეს რუსულ ენაზედ, რო-

მელიც შესასწავლებლათ მით უფ-
რო უძნელდებათ, რომ მასწავლებე-
ლი უცნობიდან უცნობის გამოძე-
ბნას სცდილობს.

სამოქალაქო სასწავლებლები ბავ-
შვების სულიერ წყობილებას ვერას
შემატებენ მით, რომ კვირაში სამ-
შობლო ენაზედ წერა-კითხვის შესა-
სწავლებლათ დადებული აქვს ორი
საათი; ისიც იმისთანა პირებს აბა-
რიათ ხოლმე, რომლებიც ან სრუ-
ლიად არ დასდევენ, ან კიდევ თი-
თონაც არა იცნან რა; არ დასდევენ
იმით, რომ ადგილობრივი ენები
ჩვენ შკოლებში ლაქიაობის როლს
თამაშობენ. თუმცა ადგილობრივი
ენების შესწავლა დიდ შემწეობას
მისცემდა რუსული ენის შესწავლას,
თუ მასწავლებელი გულმოდგინეთ
შეუდგება საქმეს. ადგილობრივი ენე-
ბის ლაქიაობა მიზეზი, რომ მომე-
ტებული ნაწილი მასწავლებლებისა
უარ ჰყოფენ ელემენტარულ სწავ-
ლაში დედა-ენას. უ. როსტომაშვი-
ლი მასწავლებლებს ამტყუნებს, ვი-
თომც ისინი აცხადებდნენ, დედა-
ენაზედ სწავლება არ შეგიძლიანო.
მასწავლებლები აქ სრულიად უცო-
დველნი არიან. მოსამზადებელ სა-
სწავლებელში იმათ იმგვარი პირო-
ბები არტყიათ გარეშემო, სამშობ-
ლო სალაპარაკო ენაც კი ავიწყდე-
ბათ და საკვირველი არაფერია, თუ
არითმეტიკას დედა-ენაზედ ბავშვებს
ვერ ასწავლიან. მარდა ამისა, უ. რო-
სტომაშვილმა კარგათ იცის, რომ
ყველა შკოლების წარჩინება იზომე-
ბა გახეპირებულ რუსულ სიტყვათა
რიცხვით. ამ მხრიდაამც არა არის-
რა გასაოცარი, თუ მასწავლებელი
თავდაპირველათვე სიტყვების გაზე-
პირებას მიაყენებს ყმაწვილებს და
დაკმაყოფილებს უმთავრესს ნიშანს
შკოლის წარჩინებისას, რომლის დე-
ვიზი არის რაოდენად და ანა ვი-
თარება.

მგრეთვე უ. ლიხანოვთა მსგავსი
პედალოლები იმ მასწავლებელს აქე-
ბენ და თავზედ ხელს უსმენ, რომე-
ლიც დედა-ენას შკოლაში სრულიად
არა ხმარობს. მანა არ იცის უ. როს-
ტომაშვილმა თავის მოწინავეს სიტყ-
ვები ქართულ ლიტერატურაზედ?
მაშ რაღა საჭიროა უცოდველი სურ-
ვილი, რომ მგლებიც დაძღნენ და
ცხვრებიც დარჩნენო! მარდა ამისა
ბევრგან იმისთანა მასწავლებლე-
ბი ინიშნებიან შკოლებში, სა-
დაც იმათ იმ ხალხის ენა არ იცნან.
მაგ. აფხაზეთში მახელი ბევრს გა-
კეთებს, მსებში ქართველი, ხევსუ-
რებში რუსი? —

პედალოლიური ინსტიტუტი და
სამასწავლებლო სემინარია მოვალე-
ნი არიან შეუდგნენ რუსული ენის
შესწავლის გასაადვილებელ საშუა-
ლებათა გამოძებნას. იმათ უნდა გა-
შინჯონ და გამოსცადონ ეს უცხო
ენების შესწავლის მეთოდები, შე-
ადგინონ და საყოველთაო სახმარე-
ლათ გამოსცენ სახერხო და სასარ-
გებლო ხელმძღვანელოები. აღექ-
სანდროვის ინსტიტუტი ყურ-მიძინე-
ბულია, იქაურ მასწავლებებმა, რომ-
ლებიც პედალოლის კურს ვრცლათ
სწავლობენ, უცხო ენების შესასწა-
ვლებელ მეთოდების და მათი ლი-
ტერატურისა არაფერი იციან. სახმა-
რებლათ თუ არა, ცოდნის-სიყვარუ-
ლის დასაკმაყოფილებლად, მინც
უნდა იცნობდნენ. ჩვენში დაბალ
კლასებში იმ გვაზი ანბანები გვაქვს,
რომ მათი ტარების შინაარსის
გადათარგმნითაც გადაცემა ძრიელ
ძნელია ბავშვებისთვის. მართალია,

გაუგებარი ალაგები, ილიოტიზმები
და ხალხური გამოთქმულები, განლე-
ქსილობა წაიწლება და გაქვებვა,
მაგრამ მინც ამით ბევრი არაფერი
ეშველება პედალოლიურ საქმეს პირ-
ველათ იმიტომ, რომ გასაშვები და
გამოუდგარი ალაგები იმთონია
ჩვენ სახელმძღვანელოებში, რომ
იმათი გამოტყვებით სავარჯიშო მა-
სალათ ბავშვებს ხელში აღარა რჩე-
ბათ, აქრელებულ ფოთლების მეტი,
მეორეთ—გაშვებით კითხვა სტრი-
ქონებში ანტიპედალოლიური მოე-
ლინება, მესამეთ—ყველა მასწავ-
ლებელი ვერ ახერხებს გასაშვებ და
უფარგის ალაგების ამოშვებას. ბევრ-
გან შეგხედებათ შკოლა, სადაც ბავ-
შვები ზაინკა, პო სენიჩკა*—ს გა-
უგებართ იძახიან, თითო-თითო სი-
ტყვაობით სთარგმნიან და აზრი კი
სრულიად არ ესმით.

P. S. უ. როსტომაშვილს ძახიდ-
გან თავის პედალოლიურ კოროესპონ-
დენციაში აღუძრავს თანამედროვე
კითხვა რუსულ პედალოლიაში—„მო-
ვალეობით სწავლის“ ჩვენში
„მოვალეობით სწავლის“ განწესება
და განხორციელება არც საჭიროა
და არც სასურველი, სანამ ჩვენ შკო-
ლებს ეხლანდელი განწყობილება,
გამართვა და მიზანი არ ასცილდება.
„მოვალეობითი სწავლის“ დაარსე-
ბა ჩვენში შესაძლებელია, მაგრამ
მასთანვე შემაწუხებელიც გახლავთ.

უ. როსტომაშვილს გაუზომია ყვე-
ლა სახსარი ძახის შკოლის კეთილ-
დღეობისთვის აღმორჩეული, დაფი-
ქრებულია მისმომავალზედ და მწა-
რე დასკვნაზედ დამდგარა, რომ თუ
ძახის შკოლას არა ეშველა-რა, „სა-
მუდამოთ ტყუილ-უბრალოთ ფუ-
ლების მჭამელათ დარჩებო.“ თუ
კი დედ-მამა ძალ-დატანებით შკო-
ლაში სწავლას ვერა მინც განუწყ-
ვეტლივ ოთხი წლის განმავლობა-
ში ატარებს, მაშინ ძახის შკოლას
არა უშავსრა, თავის მიზანს და და-
ნიშნულებას მიახწევსო. იქნება ეს
ზომა ძახის შკოლას გამოადგეს, თუმი-
ცა კი ძრიელ ვიჭენულობათ, მაგ-
რამ კითხვა ერთ შკოლას არ შეე-
ხება. ძახის შკოლას რომ ვალდები-
თი სწავლა მიათვისონ, მაშინ სხვე-
ბიც მოინდომებენ და საჭირო იქნე-
ბა საზოგადო კანონათ გადიქცეს.

სანამ ჩვენი შკოლების პროგრამ-
ებს არ გამოსცვილიან, ჩვენ ხალხს
„ვალდებული სწავლა“ ახწევს. შკო-
ლაში, სადაც ყმაწვილს არ ესმის—
რას ასწავლიან, ვინღა გაიგოს, რო-
მელი ყმაწვილი-ლა მიეკედლება იმას?
მგრეთვე, თუ მშობელი ვერა სარგე-
ბლობას ვერა ხედავს სწავლაში. თუ
იმის შვილი თან-და-თან გონებით
შკოლაში სუსტდება და ცხოვრება-
შიც გამოცდილებას შორდება, თა-
ვის დღემდე ძალით არ გააგდებს
შკოლაში, ხელსაც მოუშართავს და
თავისთან უსაქმოთ გაუშვებს. თუ
ყმაწვილი წახალისებულია შკოლი-
საგან, თუ მასში განდვიძებულია
ცოდნის სიყვარული, ის თავისდღე-
შიც შკოლაში ტარებას არ მოიშ-
ლის; თუ ახლასხვა ნაირათ გხედავთ,
ამაში არც ყმაწვილი, არც მშობე-
ლი არა ტყუიან,—ისევე დამნაშავე
შკოლაა.

ამისთვის ჩვენი სოფლის მასწავ-
ლებლები ნუ იმართლებენ თავებს
და გული ნუ მოეცემათ იმით, რომ
ბავშვები შკოლაში არ დაიარებიანო
და შკოლის საქმე უხეიროთ მიდი-
სო. ისა სჯობია ახლავე დახედონ,
სასწავლებლის პროგრამა კარგათ
გადასინჯონ, ისა სჯობია უქმობაში

კლასები არ ატარონ, სჯობია რუსული ენის შესწავლა გაუადვილონ...
იქნება ამ საგანზედ ვრცლათ ლაპარაკი მოვიხდეს და მაშინ ყველას განცხადებით მოვახსენებთ პატივცემულს, ერთ-ერთ ხეივანს სახალხო მასწავლებელს საქართველოს ზურგზედ, ჩვენს თანამშრომელ ი. როსტომაშვილს.

„დროების“ კორექსორი

კახიძემ, 27 მარტს. წარსულ თვის დამლევდგან დაწყებული, ძახში როგორც ერთობ განხორციელდა სიკვდილი ხალხში ერთგვარ ავთომყოფობისგან; ისეთი დღე იშვიათია, რომ ერთი ან ორი გარდაცვალებული არ იყოს იმ ავთომყოფების გამო, რომელზედაც მარშან იყო მოხსენებული რამდენიმე სიტყვა „დროებაში“ და რომელზედაც ისე მითამ მამაკურად, თუნდ უსაბუთოდ, უარი ჰყო ზაქათაის მარშის მკურნალმა, უ. მითკავსკიმ „თფილ. მოამაეში“ და ბექტილ წერილით. მის მარშანდელ სიმართლის გამტყუენებას ვინ დაეძებს, თუ წლივანდელმა მაინც იყოს რიგიანი ყურადღება მიაქცია ამ გვარ უბედურებას ძახის მცხოვრებლებსას.

ამ სწეულებას ინგილოები „თბილას“ ეძახიან. ზოგი ერთს დღეს ხდება ავთ და მასვე დღეს კვდება; ზოგი კი ერთს კვირის შემდეგ ავთომყოფობისა კვდება. იშვიათი მაგალითია, რომ ვინმე ავთ განდეს და გადურჩეს ამ სასტიკურ სწეულებას. შიშვილებს უფრო ემტრება, ვინემ დიდებს.

როგორც სხვა დროს ჩვენმა მამა ბლალაჩინმა ახლაც თავისი დაუდევრობა მოვალეობისადმი აქაც გამოიჩინა. ამ დღეებში ერთმა გლეხმა მიიყვანა მასთან მოსანათლავად თავისი ორიკვირის ვაჟი-შვილი რომელიც შეუძლოთ იყო, და სთხოვა, რომ შვილი მომინათლეთო; ნათლიაც საქმიდგან მოცდენილი მზათ იყო. ბლალაჩინმა უთხრა გლეხს: არა მცალიანო, სხვა დროს მოიყვანეო! ბლეს ძალიან ეშინოდა მოუნათელელ შვილს რამე უბედურება არ დეებართოსო; ამისთვის სცდილობდა, რომ როგორმე მოენათლინებინა შვილი. თუმცა ჯერ თვითონ გლეხურად შეეხვეწა და მერმე ძახის შკოლის მზრუნველიც შეეზავნა ბლალაჩინთან, მაგრამ სულიერ მამამან მაინც-და-მაინც თავისი არ დაიშალა. მერმე დღეს ყმაწვილი გარდიცვალა მოუნათელელი.

ამაზედ ერთი დიდი ჩურჩული და აყალმაყალი არის ძახის გლეხებს შვა. „რომელ ერთხელ მოუთმინოთ მამა ბლალაჩინს მისი უკანონო მოქმედებაო, ამბობენ გლეხები; და ან ამავეს, როგორც ალათემურის საქმეს, ბოლო არ უნდა მოელოსო?“ მართის სიტყვით, მოთმინებდგან გამოსულ გლეხებს მასზედ საჩივრის შეეტანა სურთ, სადაც ჯერ არს. თუ რამდენათ მართალნი არიან ამ საქმეში გლეხები, ამაზედ არას ვიტყვი; მხოლოდ ის კი პირუთვნელად შემიძლიან ვთქვა, რომ ზოგიერთი ჩვენი სულიერნი მამები უფრო ჯორიკანები და დაუდევარნი თავის ვალდებულ სამსახურისანი არიან, ვინემ კეთილ-სინიდიისანი მოძღვარნი და სულიერი მამანი თავის სამწყსოისა...

რაიცა შეეხება ალათემურის მიწის საქმეს, საქმე საქმედვე დარჩა; ხალილ-ბეგი ისეთ ნაირათვე და თუ

არა უფრო სასტიკად ეპყრობა გლეხებს, როგორც აქამომდე. მართალია, ფიციელი გამოდიება იყო ამ საქმის თაობაზე და კარგი შედეგიც გლეხების სასარგებლოდ იქონია გამოდიებაში; მაგრამ უბედურება იმაშია, რომ გადაწყვეტილება თუმცა მიუღია, როგორც ამბობენ, უ. ძახის უნასტკის უფროსს, მაგრამ არ უცხადებს მას, რა უფლებაც მიენიჭათ ალათემურელ გლეხებს ალათემურის მიწაზედ. ამის გამო გლეხებმა წამდვილად არ იციან რითი გათავდა ან გათავდება ეს გაუთავებელი საქმე და მასთანვე განუწყვეტელი ვაი-ვაგლაობა.

ამ გვარ მდგომარეობით თავისებურად სარგებლობენ ხალილ-ბეგის კაცები. ახლა სხვა გვარი ტანჯვა მოიგონეს ბეგის მოსამსახურეებმა: თუ სადმე გლეხების ყმაწვილები დაინახეს ტყეში მინავალი იფნის სახრისთვინ, მაშინვე იჭერენ და თავიანთს ღამით მალავენ და მერმე დღეს ანებებენ თავს. წარმოიდგინეთ იმ დედის მდგომარეობა, რომელსაც ეკუთვნის ყმაწვილი, რომელმაც არ იცის—სად ტყე-ღრეში დაიკარვა მისი შვილი?!

რუსეთი

„დროების“ მკითხველებს უნდა ახსოვდესთ ზოგიერთი რუსული გაზეთებიდამ გადმოღებული კორესპონდენციები სერბიასა და ოსმალთს შუა ომის შესახებ. ამ კორესპონდენციებში, გაიხსენებთ, უმეტეს ნაწილად სულ იმაზე იყო ლაპარაკი, თუ რუსეთიდამ სერბიელების დასახმარებლად თავისუფალ მეომრებათ ზოგიერთი წასულთ როგორ ეჭირათ იქ თავი, ან რა სახელი და პატივისცემა დაიმსახურეს მათ იმათგან, ვის დასახმარებლათაც ისინი ისე ბაქიობით და სიტყვების რახა-რუხით დღედღეზედ უნაგარიშოთ მიდიოდნენ. უკანასკნელს ჟამს ეს კორესპონდენციები იქამდისინ მივიდნენ, რომ სერბიის დამარცხებას ოსმალთსაგან თითქმის რუსეთიდამ წასულთ თავისუფალ მეომრებათ აბრალებდნენ. ამ აზრის დასამტკიცებლად, ამ კორესპონდენციებში ხშირად შეხვედებოდათ რუსის იმისთანა თავისუფალი მეომარის სურათს, რომელიც თქვენ გარწმუნებდათ, რომ გარდა პიროვნული სარგებლობისა და თავის გამოჩენისა, რომელიმე სკანდალით ან უსაქციელო ყოფაქცევით, იმ ზოგიერთთ, რომლებზედაც ვლაპარაკობთ არაფერი წმინდა გრძობა არ მიუძღოდათ წინ;—რწმუნდებოდით, რომ ამ თავისუფალთ მეომრების რაზმში იმისთანა კაცებსაც შეუფარებიათ თავი, რომელნიც რუსეთში დევნულნი ყოფილან სხვა-და-სხვა კარგი კაცობისათვის“.

იმ შემომოყვანილს რუსულის გაზეთებში, რომელნიც ამ თავისუფალთ მეომრებზე ასეთი ჰაზრის იყენენ, თუ არ ვსცდებით, ერთი პირველი ადგილთაგანი თავისი „სერბიელი კორესპონდენციებით გაზ.“ ხმას ეკავა და დღესაც ამავე გაზეთს, თავისი მაშინდელი კორესპონდენციების გასამართლებლათ, მოჰყავს საინტერესო ადგილები მაიორის ხეოსტავის ბროშიურიდამ „რუსეთის სერბიელები 1876 წლის ომში“. ბროშიურის მიზანი, ავტორის სიტყვით, ის არის, რომ უფრო ნათლათ გამოხატოს რუსების ამ ჟამათ დამოკიდებულება და მიმართობა სერბიელებთან, და ხეოსტავი ბროშიურის წინასიტყვაობაში სხვათა შორის, ამბობს: მართალი იქნება, რომ ვსთქვათ, რომ ომამდინ თუმც სერბიელები ვერ გვიცნობდნენ, მაგრამ ვუყვარდით და პატივს გვცემდნენ მაინც, ომის დროსა და მის შემდეგ კი რაკი ვაიცნეს, ზოგიერთი ჩვენგანი შევსძულდით და პატივს ვაგვყარეს“ და მთელი ბროშიური ან რაგვარი მოქმედებით დაიშინებინა სახურეს ამ გვარი სახელი და პატივისცემა რუსებს ამ გვარი სახელი და პატივისცემა სერბიელებისაგან. — მოვიყვანოთ რამდენიმე ადგილი. „სანამ სერბიისაკენ გავემგზავრებოდი, რუსეთში განუსამზღვრელ პატივისცემას ვგრძნობდი მ. ბ. ჩერნიევიან და მისი სახელის ხსენება საქებრად მიმაჩნდა რუსეთის არმიისათვის. — შოველი ცისმარადღე რამდენიმე გაზეთებს თავიდაც ბოლომდინს გადვიკითხავდი ხოლმე მუდამ, იმათი სერბიელი კორესპონდენციების რომელიმე საგნის ან პირის შესახებ სრულს უთახნოვებას ერთობ შეცთომილებად შეგყავდი და ხშირად ეჭვში შეგყავდი ჩერნიევის ღირსებაზე და მოქმედებაზე. — ამ გაზეთებიდამ განსაკუთრებით გაზ.“ ხმის“ სერბიელს კორესპონდენციებს ჰქონდა ჩემზე საძაგელი შთაბეჭდილება და უნდა გავტყდე, რომ მისს პატივცემულს რედაქტორს საზოგადო საქმის წინ მოლაღატეოც ვრაცხდი. — მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ საქამო იყო ჩემთვის ორიოდ თვე დამეთია სერბიაში, რომ სრულებით გამომეცვალა ჩემი ჰაზრი სერბიის მდგომარეობისა და განსაკუთრებით ჩერნიევის მოქმედებების შესახებ. — ამის შემდეგ, — გაზ.“ რუსიკი მირი“ დასაანავათ მეზარებოდა, და მის მაგიერ გაზ.“ ხმას“ დაუწყე მოუთმინელათ და დიდის ყურადღებით კითხვა. — თუმც ყველაფერს მართალს და წამდვილთან ძრიელ ახლო ამბებს ეს უკანასკნელი გაზეთი მოგვიტოვებდა. მე ჩემის გამოცდილებით, იმ დროს განმავლობაში, რამტენიც მე სერბიაში დავჩი, ღმერთო ხომ შენ იცი, ნათლად დავრწმუნდი, რომ სერბიის დამარცხებაში და მის დაღუპვაში ჩერნიევი, სერბიის არმიის სარდალი და ზოგიერთი რუსეთის „თავისუფალ მეომრების“ უზენოება და უნიკობა არიან სრული დანაშაულის დამიხვეწნი“..... — ამას ჰქვია აი გაჭირვების დროს მოძმეს ხელის მომართვა და „წმინდა საქმის“ დაცვისათვის თავის გადადება!...

ნება, რომ ვსთქვათ, რომ ომამდინ თუმც სერბიელები ვერ გვიცნობდნენ, მაგრამ ვუყვარდით და პატივს გვცემდნენ მაინც, ომის დროსა და მის შემდეგ კი რაკი ვაიცნეს, ზოგიერთი ჩვენგანი შევსძულდით და პატივს ვაგვყარეს“ და მთელი ბროშიური ან რაგვარი მოქმედებით დაიშინებინა სახურეს ამ გვარი სახელი და პატივისცემა სერბიელებისაგან. — მოვიყვანოთ რამდენიმე ადგილი.

„სანამ სერბიისაკენ გავემგზავრებოდი, რუსეთში განუსამზღვრელ პატივისცემას ვგრძნობდი მ. ბ. ჩერნიევიან და მისი სახელის ხსენება საქებრად მიმაჩნდა რუსეთის არმიისათვის. — შოველი ცისმარადღე რამდენიმე გაზეთებს თავიდაც ბოლომდინს გადვიკითხავდი ხოლმე მუდამ, იმათი სერბიელი კორესპონდენციების რომელიმე საგნის ან პირის შესახებ სრულს უთახნოვებას ერთობ შეცთომილებად შეგყავდი და ხშირად ეჭვში შეგყავდი ჩერნიევის ღირსებაზე და მოქმედებაზე. — ამ გაზეთებიდამ განსაკუთრებით გაზ.“ ხმის“ სერბიელს კორესპონდენციებს ჰქონდა ჩემზე საძაგელი შთაბეჭდილება და უნდა გავტყდე, რომ მისს პატივცემულს რედაქტორს საზოგადო საქმის წინ მოლაღატეოც ვრაცხდი. — მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ საქამო იყო ჩემთვის ორიოდ თვე დამეთია სერბიაში, რომ სრულებით გამომეცვალა ჩემი ჰაზრი სერბიის მდგომარეობისა და განსაკუთრებით ჩერნიევის მოქმედებების შესახებ. — ამის შემდეგ, — გაზ.“ რუსიკი მირი“ დასაანავათ მეზარებოდა, და მის მაგიერ გაზ.“ ხმას“ დაუწყე მოუთმინელათ და დიდის ყურადღებით კითხვა. — თუმც ყველაფერს მართალს და წამდვილთან ძრიელ ახლო ამბებს ეს უკანასკნელი გაზეთი მოგვიტოვებდა. მე ჩემის გამოცდილებით, იმ დროს განმავლობაში, რამტენიც მე სერბიაში დავჩი, ღმერთო ხომ შენ იცი, ნათლად დავრწმუნდი, რომ სერბიის დამარცხებაში და მის დაღუპვაში ჩერნიევი, სერბიის არმიის სარდალი და ზოგიერთი რუსეთის „თავისუფალ მეომრების“ უზენოება და უნიკობა არიან სრული დანაშაულის დამიხვეწნი“..... — ამას ჰქვია აი გაჭირვების დროს მოძმეს ხელის მომართვა და „წმინდა საქმის“ დაცვისათვის თავის გადადება!...

უსხო ქვეყნები

ომის ამაჰანი რუსულს გაზეთს „ხმას“ დაბეჭდილია, 26-ს მარტს სტამბოლიდამ მოსული შემდეგი ტელეგრაფმა: პორტას თუმცა კიდევ ვერ გადაუწყვეტია, როგორ მოიქცეს ონდონის პროტოკოლის შესახებ, მაგრამ უმეტესათ მაინც იქითკენ მიიწევს, რომ ამ ხსენებულის პროტოკოლის ყველა მუხლებზე კატეგორიული უარი სთქვას. ომის მომხრეები, როგორც მმართველობასთან ახლო მდგარ საზოგადოებაში, ისე გაზეთებშიაც თან-და-თან ძლიერდებიან. ამათ მოთავედ მობარტ-ფშაითველება. მს სრულიად უთაკილოდ აცხადებს, რომ ინგლისის მმართველობა როგორც კი უნდადეს, იძულებული იქნება, მოეხმაროს ოსმალთს. დედა ჰაზრი, რომლითაც ომის მომხრენი ხელმძღვანელობენ, არის შემდეგი:

„არნია შიშველი და შიშვილი; სალდათებს ეს თერთმეტი თვე უნდა იქნება, რაც ჯამაგირი სრულდებოდა მიუღიათ; მმართველობას იმის შეძლება ალარ აქვს, რომ არმიის ხორაგეულის მომზადებლებს გარდუხადოს დანახარჯი. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამისთანა მდგომარეობაში ჩაეარდნილი სალდათები, რომ შინ გაუშონ ისინი მეზობლების და საზოგადო ცარკვას და გლეჯას და იწყებენ და მეროპა კი ამას ფანატისში მიაწერს და გაერევა ოსმალთს შინაგან საქმეებში, რომლის წინააღმდეგობაც ოსმალთს მხრით გვიანლა იქნება, რადგან ჯარის ხელმეორედ მოწვევა შეუძლებელი იქნება. მსლა კი ყველაფერი მზათა ომისათვის: იარაღი დამზადებულია და ჯარები შეიარაღებულია, სიმაგრეები ძრიელ გამაგრებული გაქვს და ხორაგეულის სამყოფი რამდენიმე წლისათვის, დავერჩენია მხოლოდ გამოვცადოთ „სამხედრო ბედი“ და როგორმე თავი დავაწვიოთ ამ წარმოუდგენელ მდგომარეობას.

„ამათ წინააღმდეგ მშვიდობიანობის მიმართ პარტია ერთობ მტკიცელია. მსენი ამტკიცებენ, რომ ოსმალთსაგან ომის გამოცხადება ეხლა, რომელი სახელმწიფოსთან გინდათ, ძრიელ საშიში და ვნების მომტანი იქნება იმისათვისავე, რადგან რომ სახელმწიფოს ხაზინა თითქმის სულ ცარიელია, რომ ჩინებულად დამზადებული ჯარები მას არა ჰყავს და რაც ჰყავს, ისიც ღმერთმა იცის, ოსმალთს სასარგებლოდ თუ მის წინააღმდეგ იომებენ ისინი ისე გაფუჭებულნი არიან, რომ ოსმალთს ამ ჟამათ იმის შეძლება არა აქვს, რომ მტერს რომელიმე მხრიდამ დაეცეს, რადგან აქამდისინ, შინაგანი თავის პროვინციებში არეულობების მიხეზით, მარტო იმისთვის იყო მომზადებული, რომ თავი მოეგერა და არა პირიქით ვისმეს შეებოდა ომში; ბოლოს თვით პროვინციების აღელვებული მდგომარეობაც უნდა ამხნევებდეს მმართველობას, რომ მათზე რაიმე იმედის დამყარება შეუძლებელია, რომ თავათ ესენი, თუ კი დრო და მომხრეები იშოვნეს, პირაქეთ შეებმებიან ომში და სხვ.

შემდეგ ამბობს ისევე ტელეგრაფმა: „თუ კი საზოგადოებას ბეჭდვითა და პარლამენტში წარმოთქმული სიტყვებით შეეხვედათ, მაშინ ნათლათ დავრწმუნდებით, რომ ის ამ უკანასკნელს დროს, მართლა რომ ერთობ აღელვებულს მდგომარეობაშია. როგორც გაზეთები ისე ეს პარლამენტის სიტყვები ერთ ხმად ჰყვირიან, რომ ოსმალთს უცხო ქვეყნელები ერთობ შეურაცხყოფას აყენებენ, რომ მმართველობა ვალდებულია დაიცოს თავისი სახელმწიფოს ხელ-უხლებლობა და აღუკრძალოს გარემე სახელმწიფოებს თავის შინაგან საქმეებში გარევა, რომ მან ონდონის პროტოკოლზე თავის ღირსების შესაფერ და ღირსეულად უნდა უზასუხოს და თუ კი საქროება მოითხოვს, უნდა გამოუცხადოს ომი ოსმალეთის ყველა მტერს.“

„მინისტრების რჩევას თითქმის ყოველს ცისმარე დღე სხდომები აქვს. ბუშინ მინისტრების რჩევა იყო თითქმის შეუწყვეტელი მთელი დღის განმავლობაში. „მანსაკუთრებით სავფეტ-ფაშა მუდამ ნახულობს ხოლმე გარემე სახელმწიფოების წარმომადგენლებს და სჯა აქვს მათთან; მარტო გუშინ სამჯერ ნახა იმან ინგლისის წარ-

